საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030146843614917

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/14170 **10 / მარტი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ „2017 წლის ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებაში მიმდინარე წლის 22 თებერვლის N103 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ პროგრამის „მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა“ კომპონენტის ფარგლებში 2017 წლის 1 მარტამდე დამდგარი შემთხვევები, რომელიც დასრულდა ან გრძელდება 2017 წლის 1 მარტის შემდგომ პერიოდში ანაზღაურდება იმავე პროგრამის ფარგლებში, რომლითაც დაიწყო, ხოლო 2017 წლის 1 მარტიდან კომპონენტით განსაზღვრული სერვისი მიეწოდება „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში მიმდინარე წლის 22 თებერვლის N102 დადგენილებით განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ პროგრამის ფარგლებში .

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა განხორციელდეს ცვლილება და „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა“ (პროგრამული კოდი:35 03 02 09 01) პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (პროგრამული კოდი: 35 03 01) პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია